ელექტრონული სასწავლო რესურსის ინსტრუქცია
ავტორი: რუსუდან გორგაძე

https://mix.office.com/watch/1g168t7gixazh

მოცემულ ბმულზე გადადით და ნახავთ პრეზენტაციას „Office Mix”-ში. აღნიშნულ ბმულზე დაჭერით ინტერნეტმომხმარებლებს საშუალება ექნებათ ონლაინ რეჟიმში სახლიდან გაუსვლელად, საკუთარ კომპიუტერებზე და სხვა დევაისებზე დააკვირდნენ მიმდინარე პრეზენტაციას და უპასუხონ შეკითხვებს. ეკრანზე გამოჩნდება ავტორის სახელი და გვარი, სკოლის სრული დასახელება და პრეზენტაციის სათაური „ფუტკარი“. მაუსი მიიტანეთ ეკრანის შუა ნაწილში და „Play“-ით ჩართეთ ვიდეოს ჩვენების რეჟიმი.

ვიდეოს დასრულების შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება არჩევითპასუხიანი შეკითხვა. „Quizzes Videos Apps“-ით შექმნილია ინტერაქციული ვიდეოები (ტესტური დავალებები), შეკითხვის ქვეშ თქვენ უნდა შეარჩიოთ სწორი პასუხი და შესაბამის ველში მონიშნოთ. მონიშნული პასუხი მიიღებს მწვანე ფერს. შემდეგ მარჯვენა ქვედა კუთხეში „Submit” ფანჯარა მონიშნეთ. არასწორი პასუხის შემთხვევაში ეკრანის მარჯვენა ზედა კუთხეში გამოჩნდება ნარინჯისფერი ფანჯარა „Incorrect Please try again”. პროგრამა გაძლევთ საშუალებას შეიტანოთ კორექტირება. შეასწორეთ პასუხი და მარჯვენა ქვედა კუთხეში „Submit“ ფანჯარა მონიშნეთ. სწორი პასუხის შემთხვევაში ეკრანის მარჯვენა ზედა კუთხეში გამოჩნდება მწვანე ფერის ფანჯარა „Correct Great Job!“. მარჯვენა ქვედა კუთხეში გამოჩნდება ორი ფანჯარა „Retry” და „Continue”. „Retry” -ის თუ მონიშნავთ იგივე შეკითხვაზე გადაგიყვანთ, ხოლო „Continue”-ის თუ მონიშნავთ გადახვალთ შემდეგ შეკითხვაზე.

2016 წელი